ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 19
ბრძანება

13/02/2020

ნათია დოლიძესთან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფუნქციების განაწილების შესახებ

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 ივნისის N25 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტთან საორგანიზაციო საკითხებში, ნათია დოლიძესთან, განისაზღვროს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების ფუნქციები:

1.1 საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომაზე განსახილველი საკითხები და ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი მასალების მომზადება.

1.2 კომისიათა სხდომაზე გამოთქმული წინადადებების, შენიშვნების ასახვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება. (ოქმის შედგენა)

1.3 საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების და სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.4 საკრებულოს კომისიათა სხდომაზე, პირთა მოწვევა, გაფრთხილება და მათი რეგისტრაცია.

1.5 საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მასალების გამრავლება და დარიგება.

1.6 საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

1.7 საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების, ტექნიკური მომსახურეობის გაწევა.

1.8 საკრებულოს რეგლამენტით, დებულებით, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

1.9 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების დაცვას და შენახვა.

2 ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე